სიორენ კირკეგორი

ან/ან:

ნაწყვეტი ცხოვრებიდან

(ნაწილი მეორე)

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი, 2023

ნაწარმოები „ან/ან“ ატარებს ორგვარ ჟღერადობას ორი სხვადასხვა მთხრობელის მხრიდან. პირველ ნაწილში ახალგაზრდა ესთეტიკოსი მამაკაცი (რომელსაც უბრალოდ ჰქვია A), ხოლო მეორე ნაწილში – ეთიკური განმსჯელი, სახელად ვილჰელმი.

„ან/ან“ – დუალობის ეს შედევრი გახლავთ შესანიშნავი გამოკვლევა იმ კონფლიქტისა ესთეტიკასა და ეთიკას შორის რომ არსებობს; ორივე მათგანი ირონიულად და მაცდურად განიხილავს ეპიკურ სიამოვნებებს – მთელი თავისი მჭევრმეტყველური ასახვით მორალური ყოფა-ცხოვრების მაღალი სათნოებებისა.

წიგნის პირველ ნაწილში ასახული ასპექტები არის „ან“ – ცხოვრების ესთეტიკური ჭვრეტა; ხოლო მეორე ნაწილი „ან“ – მისი ეთიკური აღქმა. ეს უკანასკნელი ეხება პიროვნული ჩამოყალიბების, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის საკითხებს, რა ყოველივეც საბოლოოდ მიემართება ქორწინების თემას.

ნაწარმოების პრობლემის გადაწყვეტა მკითხველისათვის არის მინდობილი, ვინაიდან არ არსებობს არავითარი მესამე ნაწილი, სადაც კი შესაძლებელი იქნება, რომ ცხოვრებისეულ ბილიკზე რაიმე კონკრეტული ეტაპი წარმოჩნდეს.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
PENGUIN BOOKS, 2004

სიორენ კირკეგორი
ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან (ნაწილი მეორე)

მთარგმნელი: რატი ბაინდურაშვილი
სამეცნიერო რედაქტორი: დავით ცომაია
რედაქტორი: გოგი სალიაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-5454-5 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-8-5920-5 (მეორე ნაწილის)

სარჩევი

შედგება B მწერლის ნაშრომებისგან:
A-ს მისამართით გაგზავნილი წერილები.....4
ქორწინების ესთეტიკური საფუძვლიანობა.....7
პიროვნების განვითარებაში ეთიკურისა.....123
და ესთეტიკურის წონასწორობა.....123
ბოლოსიტყვა.....269
დარიგება იმის შესახებ, რომ ღვთის.....272
წინაშე ყოველთვის შეცდომილნი ვართ.....272
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....289

შედგება B მწერლის ნაშრომებისგან:
A-ს მისამართით გაგზავნილი წერილები

Les grandes passions sont solitaires, et les transporter
au désert, c' est les rendre à leur empire.[1]

Chateaubriand

1. დიადი ვნებანი განცალკევებით დგანან, ხოლო მათი უდაბნოში გადატანისათვის საჭიროა, აღვუდგინოთ ისინი თავიანთ იმპერიას (შატობრიანი).

ქორწინების ესთეტიკური საფუძვლიანობა

ჩემო მეგობარო!

ეს სტრიქონები, უპირველესად რომ მოჰკარი თვალი, სულ ბოლოს დაიწერა. მათი მიზანია, კიდევ ერთხელ სცადონ იმ ვრცელი გამოკვლევისთვის წერილის სახის მიცემა, რომელმაც შენი ყურადღება მიიპყრო. ამრიგად, აღნიშნული წერილები ტექსტის ბოლო სტრიქონებს შეესაბამება; ერთობლივად კი ისინი კონვერტს აყალიბებს და, ამგვარად, გარეგნულად მიანიშნებს, თუ რაოდენ ბევრი მტკიცებულების პოვნა შეგიძლია იმისათვის, რომ დარწმუნდე – შენ, მართლაც, წერილს კითხულობ. შენთვის წერილის მოწერის აზრს ვერ შეველიე, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩემს ხელთ არსებულმა დრომ ნება არ მომცა, სამეცნიერო ნაშრომისთვის საჭირო ფრთხილი სამზადისი მეწარმოებინა, ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ არ მსურდა, ხელიდან გამეშვა შანსი, შენთვის უფრო დამრიგებლური მანერითა და დაჟინებული ტონით მომემართა, რის შესაძლებლობასაც წერილის ფორმა უთუოდ მაძლევს. საუბრის ხელოვნებასა და ზოგადად ყველაფერში, რაც მასთან არის დაკავშირებული, შენ ფრიად ჩახედული ადამიანი ხარ, რომ გაცდუნო – შენი დიალექტიკური ძალები აამოქმედო, თანაც ისე, რომ ამან პირადად შენზე არ იქონიოს გავლენა. [...] როგორც სახელმწიფო მოხელე, დიდი ფორმატის ფურცლებზე წერას ვარ შეჩვეული. ეს შეიძლება ჩემთვის ხელსაყრელიც აღმოჩნდეს, თუ ამგვარად ჩემი ნაწერი გარკვეულ რწმუნებულებას შეიძენს. წერილი, რომელსაც ახლა მიიღებ, გრძელია: თუ ფოსტის სასწორზე აწონი, საკმაოდ ძვირად შეფასდება. სრულყოფილი კრიტიკის ზუსტ სასწორზე კი ის სავსებით უმნიშვნელო იქნება. ჰოდა, გთხოვ, ნუ გამოიყენებ ამ სასწორებს: ნურც ფოსტისას, რადგან წერილი პირადად უნდა მიიღო, ყოველგვარი შემდგომი გადაცემის გარეშე; ნურც კრიტიკას, ვინაიდან ვერ ავიტან იმის დანახვას, თუ როგორ გაერევი ასეთ უსიამოვნო გაუგებრობაში.

თუკი ამ გამოკვლევას შენამდე სხვისი თვალები დალანდავს, მისთვის ყოველივე მეტისმეტად უცნაური და უშინაარსო აღმოჩნდება; დაქორწინებულმა კაცმა რომ ნახოს, შეიძლება მამასახლისის გულთბილობით წამოიძახოს: „აბა რა, ქორწინება, მართლაც, ცხოვრების ესთეტიკაა“. ახალგაზრდა კაცმა შეიძლება რამდენადმე გაურკვევლად და დაუფიქრებლად ჩაილაპარაკოს: „დიახ, სიყვარულო, შენ ხარ ცხოვრების ესთეტიკა“. მაგრამ ვერცერთი მათგანი შეძლებს, ჩასწვდეს, თუ რატომ მსურს, ვიხსნა ქორწინების ესთეტიკური რეპუტაცია. რასაკვირველია, ამგვარად, არსებული ან მომავალი ქმრების მადლიერების დამსახურების ნაცვლად მათში ეჭვებს უფრო აღვძრავდი. რადგან ვინც ზედმეტად გულმოდგინედ იცავს, ის ადანაშაულებს. ამისათვის კი მომიწევს მადლობა გადაგიხადო, ვინაიდან ამ სიტუაციისთვის ეჭვის თვალით არასოდეს შემიხედავს; დიახ, მადლობა გადაგიხადო შენ, ვინც მიუხედავად ასეთი უცნაურობისა, საკუთარი ვაჟივით, ძმასავით, მეგობარივით მიყვარხარ; ესთეტიკური სიყვარულით მიყვარხარ, ვინაიდან შეიძლება ოდესმე შენც იპოვო საკუთარ ექსცენტრულ მოძრაობათა ცენტრი; მიყვარხარ შენი იმპულსურობით, ვნებებით, სისუსტეებით; შენ ისა ხარ, ვინც რელიგიური სიყვარულის შიშითა და თრთოლით მიყვარს, რადგან ვხედავ, როგორ დამდგარხარ არასწორ გზაზე, შენ ჩემთვის რაღაც უბრალო გარეგნობაზე მეტი ხარ. დიახ, როცა გხედავ, როგორ მიექანები განზე, როგორ შედგები ყალყზე გაუხედნავი ცხენივით, შემდეგ კი, ორ ფეხზე მდგარი, უეცრად წინ გაიჭრები, დიახ, აი, მაშინ კი თავს ვიკავებ ყოველგვარი პედაგოგიური მანერულობისგან და მხოლოდ ცხენზე ვფიქრობ, ცხენზე, რომელიც გაუტეხავია. გარდა ამისა, მე ვხედავ ხელს, ხელს, რომელსაც აღვირი უჭირავს, ვხედავ სასჯელს ყოვლისმომცველი ბედისწერისა, რომელსაც თავიდან ვერ აიცილებ. ახლა, როცა ეს გამოკვლევა შენ თვალწინ დევს, ალბათ, იტყვი, „დიახ, უდავოა, თავისი თავისთვის შემზარავი დავალება დაუკისრებია, თუმცა მოდი, ვნახოთ, როგორ გაართვა თავი“.

შეიძლება, ზედმეტად რბილად გელაპარაკები; იქნებ შენგან ბევრს ვიტან, იქნებ უფრო მეტი ძალაუფლება უნდა გამომეყენებინა, რომელსაც მაგ მედიდურობის მიუხედავად, შენს სამართავად ვფლობ; ან ეგებ სულაც არ უნდა დამეჭირა შენთან საქმე ამ თემის განხილვისას, ვინაიდან შენ ხომ მრავალმხრივ დამღუპველი ადამიანი ხარ და, რაც უფრო დიდხანს ვატარებ შენთან, ყოველივე მით უფრო უარესობისკენ

მიდის. ქორწინების, როგორც ასეთის „მტერი“ არა ხარ, მაგრამ შენი ირონიული გამოხედვითა და სარკასტული დაცინვით, ვიცი, მას მასხარად იგდებ. მინდა ვაღიარო, რომ მიუხედავად შენი ესოდენ უსიამოვნო დამოკიდებულებისა, ამ მიმართებით განწყობას სულაც ვერ მიფუჭებ, ვატყობ კი, ფრიად დაკვირვებული ხარ. თუმცა იმასაც დავამატებ, რომ სწორედ ეს არის შენში ცუდი. შენი ცხოვრება სიჩქარის აკრეფის მეტი არაფერი იქნება. ეჭვგარეშეა, მიპასუხებ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს უმნიშვნელობის ორთქლმავალით მგზავრობასა და საკუთარი თავის დაკარგვას მაინც სჯობს, მსგავსად პაწაწინა არსებისა – საზოგადოებრივ ბრბოში. როგორც ვახსენე, შენ არ შეგიძლია იმის თქმა, რომ ქორწინება გძულს, ვინაიდან, უდავოა, ამაზე ასე ღრმად არასდროს გიფიქრია ან, თუ გიფიქრია, ამ უკანასკნელის იდეას უთუოდ აღუშფოთებიხარ. ასე რომ, მოგიწევს მაპატიო, თუ ვივარაუდე, რომ ამ თემას არ გასცნობიხარ. რაც შენ გიზიდავს, ეს სიყვარულის პირველი აღტყინებაა. კარგად იცი, თუ როგორ დამალო თავი, მოგუდო იგი ამ საოცნებო, სიყვარულით მთვრალ შორსმჭვრეტელობაში. შენ გარშემო ყველგან ობობას ნატიფ ქსელს ქსოვ და მსხვერპლს უსაფრდები. მაგრამ ბავშვი არა ხარ, არც ფხიზელი ცნობიერება, შენი გამოხედვა კი სულ სხვა რამეს მამცნობს; თუმცა შენთვის ესეც საკმარისია. შენ *შემთხვევითი* გიყვარს. „ლამაზი გოგონასგან ნაჩუქარი ღიმილი საინტერესო ვითარებაში, შეპყრობილის გამოხედვა“, – სწორედ ამისკენ ილტვი, ეს არის შენი უმოქმედო წარმოსახვის საგანი. შენ, ვინც დამკვირვებლობას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებ, საპასუხოდ ვინმეს დაკვირვების ობიექტად ყოფნაც უნდა აიტანო. ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გაგახსენებ: ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, (ბუნებრივია ამას ხაზი უნდა გაესვას, რომ შენ წარმოდგენაც არ გქონდა მის სოციალურ სტატუსზე, სახელზე, ასაკზე და ა.შ.), რომელიც, ისე მოხდა, რომ მაგიდასთან შენ გვერდით აღმოჩნდა, მეტისმეტად მოკრძალებული იყო, რომ შენთვის ერთი გამოხედვა ეწყალობა. ერთი წამით შეცბი კიდეც, იქნებ ეს მოჩვენებითი კდემამოსილება იყო, ან იქნებ ყოველივეს დარცხვენის გარეშე ჩადიოდა, რასაც, თუკი სწორი კუთხით შეხედავ, შეიძლება მას საინტერესო ვითარებაში ათავსებდეს. იგი სარკის მოპირდაპირედ ჩამოჯდა, შუშაში მის ანარეკლს ხედავდი. მან სარკისაკენ მორცხვად გაიხედა, ვერ მოისაზრა რა, რომ იქ შენ უკვე დაგემკვიდრებინა თავი; როცა თვალი თვალს გაუსწორეთ, ის გაწითლდა. მსგავს შემთხვევებს

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

მერაბ მამარდაშვილი –

1. კარტეზიანული განაზრებანი
2. ცნობიერება და ცივილიზაცია
3. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
4. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი
4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი –

1. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
2. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივეკანანდა –
1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

კარლ იასპერსი –
1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი –
1. ესეები
2. ქორწინება და მორალი

ერიხ ფრომი –
1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო –
1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი –
1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუსერლი –
1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი –
1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი –
1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი –
1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი –

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო –

1. ცნობიერების მზე
2. საწყისთა საწყისი
3. სიყვარულის ძალა
4. რა არის მედიტაცია?
5. სექსიდან სუპერცნობიერებამდე

ალექსანდრე ბერკმანი –

1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი –

1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი –

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა –

1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაჰათმა განდი –

1. გზა ღმერთისაკენ

გიორგი გურჯიევი –

1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან
4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდეშელი –
1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ჯორჯ ბერკლი –
1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

ავტორთა ჯგუფი –
1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული –
1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი –
1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჯონ სტიუარტ მილი –
1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი –
1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი –
1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი –
1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი –
1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი –
1. კარმა
2. თეოსოფია
3. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები